1. **პროგრამის სახელწოდება:** ხელოვნების მენეჯმენტი

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი: ირინა მირიჯანაშვილი;
   თანახელმძღვანელი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი: ია ნაცვლიშვილი

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/Master of Business Administration (MBA)

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი;
   - პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
   - სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: სამაგისტრო პროგრამა ინტერფაკულტეტურია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს შორის. იგი ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სპეციალისტების მომზადებას არტ მენეჯმენტის სფეროში. პროგრამის საფუძველზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ფართო ცოდნა არტ მენეჯმენტის მინმართულებით, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტით. თანამედროვე ეპოქაში ეს მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია, რადგან სწორედ მისი პროფესიული დაუფლების შედეგად ხდება შესაძლებელი სახელმწიფო და კერძო გალერეების, სხვადასხვა სახის გამოფენებისა და პერფორმანსების, ისევე როგორც თემატური სამხატვრო აქციების მაღალ პროფესიულ დონეზე ორგანიზება. შესაბამისად პროგრამა ხელს შეუწყობს ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციას თანამედროვე სახელოვნო სივრცეში. იმავდროულად, ესაა ერთ-ერთი წარმატებული გზა ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულიარიზაციისათვის თანამედროვე სივრცეში.

შედეგები:
სამაგისტო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს:
- ღრმა ცოდნას სამაგისტრო პროგრამის შესაბამის საგნებში.
- მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს, კვლევით ტექნიკასა და ყველა სხვა უნარ-ჩვევას პროფესიული პოზიციებით განპირობებული სამუშაოს შესრულებისათვის.

დასაქმების სფეროები:
სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს შესაძლებელია დასაქმდეს პროდუსერად, იმიჯ მეიკერად, მენეჯერად და ექსპერტ-კონსულტანტად, კონცერტების, საგასტროლო ტურების, შოუ ბუზნესის სარეკლამო და პიარ აქციების, ფოტო სესიების ორგანიზატორად როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში.

ორგანიზაციების სია, სადაც კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა:

- ეროვნული და სხვა მუზეუმები
- ეროვნული და კერძო გალერეები
- ტურისტული სააგენტოები
- ხელოვნებისა და კულტურის ორგანზიაციები
- კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი
- კულტურული მემკვიდრეობის ფონდები
- ტელე-რადიო და ბეჭდვითი მედია
- სახელმწიფო მოხელეები (კულტურის სამინისტრო)
- სხვა ორგანიზაციები

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.